საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. მცხეთა

"14" 08 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1163/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 12 აგვისტოს N 72870/03 განცხადებით ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კორპორაციის „პეპსიკო, ინკ." წარმომადგენელმა შალვა გვარამაძემ (მის.: 700 ანდერსონ ჰილ როუდი, პერჩეიზი, ნიუ-იორკი 10577) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Lays" (რეგ. N 17252) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით რეგისტრაცია სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში. სასაქონლო ნიშანი „Lays" (რეგ. N 17252) საქართველოში რეგისტრირებულია 30.01.2007 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.01.2017 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასაქონლო ნიშანზე „Lays" (რეგ. N 17252) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ . (მოთხოვნის რეგისტრაციის N344, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 14.08.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კორპორაციის „პეპსიკო, ინკ." წარმომადგენელს შალვა გვარამაძეს (მის.:სულხან ცინცაძის 56, ბინა 36, 0160 თბილისი).

ასლი დედანთან სწორია
14 08 2013წ.
ნიღბოდმდარა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **17252**

მფლობელი: **პეპსიკო, ინკ. ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კორპორაცია**

მისამართი: **700 ანდერსონ ჰილ როუდი, პერჩეიზი, ნიუ-იორკი 10577, აშშ**

კლას(ებ)ი:

29 - მზა წასახემსებელი საჭმელები (მსუბუქი საუზმე), რომელიც ძირითადად შედგება კართოფილის, თხილის (ნიგოზის), მარცვლეულის, ხილისა ან სხვა ბოსტნეულისაგან ან მათი კომბინაციისაგან დამზადებული, კართოფილის ჩიპსების, შემწვარი ხრაშუნა კართოფილის, ტაროს ჩიპსების, ღორის ხორცისა და საქონლის ხორცის მსუბუქი საუზმეების ჩათვლით.